2021 წლის 03 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიში

შესყიდვები:

სულ, 2021 **წლის** 03 **იანვრიდან** 2021 **წლის** 31 **დეკემბრის ჩათვლით** გაფორმებულია 243 **ხელშეკრულება**, მათ შორის:

- გამარტივებული შესყიდვით გაფორმებულია 127 **ხელშკრულება, ღირებულებით** - 1 366 988 **ლარი**. ამასთან, 85 **ხელშეკრულება** გაფორმდა მონეტარული ზღვრის დაცვით, ხოლო 11 **ხელშეკრულება** გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში 2 **ხელშეკრულება**, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების საფუძლით გაფორმდა 29 **ხელშეკრულება**, რომლებიც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამას და ინტერნეტმომსახურების შესყიდვას.
- კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმებულია 21 **ხელშეკრულება, ღირებულებით** - 383 315 **ლარი**;
- ელექტრონული ტენდერით 95 **ხელშერულება ღირებულებით** - 11 064 710 **ლარი**, მათ შორის 3 **ხელშეკრულება** გაფორმდა ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდრის საფუძველზე, **ღირებულებით** 80 000 **ლარი (სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაკავშირებული სამუშაოები**).

შესყიდვების განყოფილების მიერ სულ გამოცხადებულია 158 **ელექტრონული ტენდერი**:

- შეწყვეტილია 6 **ტენდერი**;
- არ შედგა 45 **ტენდერი**;
- უარყოფითი შედეგით დასრულდა 12 **ტენდერი (პრეტენდენტებმა ვერ წარმოადგინეს დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია)**;
- ხელშეკრულება გაფორდა 95 **ელექტრონული ტენდერის** საფუძველზე;
- 3 **ხელშეკრულება** გაფორმდა ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებული ტენდრის საფუძველზე:

*2021 **წლის** 03 **იანვრიდან** 2021 **წლის** 31 **დეკემბრის ჩათვლით გამოცხადებული ტენდერებით მიღებული ეკონომია შეადგენს** 1 785 838 **ლარს** (12 770 548 (**გამოცხ**) – 10 984 710 (**დაკონტრ**)).*

ადგილობრივი მოსაკრებლის თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოებები 2021 **წლის** 3 **იანვრიდან** 2021 **წლის** 3 **დეკემბრამდე პერიოდში**.

ადგილობრივი მოსაკრებლის თანამშრომლების მიერ პერიოდულად ხდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შემოვლა. შემოვლის დროს ხდება; ახალი სუბიექტების გაფრთხილება (როგორც სიტყვიერად ასევე წერილობითი სახით), მოსაკრებლის გადამხდელად

დარეგისტრირების შესახებ (მიუხედავად იმისა რომ კანონი ავალდებულებს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს საქმიანობის დაწყებისთანავე თავად მოგვმართონ), აგრეთვე მოსაკრებლის დავალიანების მქონე სუბიექტების გაფრთხილება და შემოსულ განცხადებებში მოყვანილი ინფორმაციის გადამოწმება.

პერიოდულად (შემოსული განცხადებების მიხედვით) ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორაზე მოქმედ დაწესებულებებისთვის, ორგანიზაციებისათვის, იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური პირებისათვის დასახლებული ტერიტორის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრა და დარიცხვა საკრებულოს 2017 წლის 17 აგვისტოს #17 დადგენილების მიხედვით.

ინტესიურად ხორციელდება ადგილობრივი მოსაკრებლების თანამშრომლების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შემოვლა და მოსაკრებლის გადამხდელი სუბიექტებზე სიტყვიერად ინფორმაციის მიწოდება მათ მიერ შეუსრულებელი ვალდებულობების (მოასკრებლის დავალიანების) შესახე.

პერიოდულად ხდება წერილების დაგზავნა მოსაკრებლის დავალიანების მქონე სუბიექტებისთვის, რითაც ეცნობება მათ მიერ გადაუხდელი მოსაკრებლის ოდენობა.

ყოველდღიურად, ხორციელდება გადამხდელთა მიერ სახელმწიფო ხაზინაში, კოდზე 300213189-ზე შეტნილი მოსაკრებლის რაოდენობის ასახვა ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილებაში არსებულ მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზაში.

ყოველთვიურად ხდება ცვლილებები დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზაში. სხვა და სხვა სუბიექტების ბაზაში დამატება, მოსაკრებლის დარიცხვა, შეჩერება, კორექტირება და ა.შ.

ყოველთვიურად ხდება მოსაკრებლის გადამხდელთა ინფორმირება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, მათ მიერ გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობისა და გადახდის ვადების შესახებ.

ყოველთვიურად ხდება მოსაკრებლების გადამხდელების ბაზის ანალიზი, მოსაკრებლის დავალიანების მქონე სუბიექტების გამოვლენა, რის შედეგადაც მზადდება მოხსენებით ბარათი გადამხდელების მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების შესახებ (მომზადებული არის 11 მოხსენებითი ბარათი, დავალიანების მქონე სუბიექტების სიით).

2021 წელს 31 დეკემბრის მდგომარეობით შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილებაში მოსაკრებლების კუთხით შემოსულია სულ 43 განცხადება, მათ შორის;

ახალი გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ 18 განცხადება.

მოსაკრებლის დარიცხვის შეჩერების შესახებ 13 განცხადება.

სხვადასხვა სახის 12 განცხადება.

აღნიშნულ განცხადებებზე რეაგირება მოხდა კანონით დადგენილ ვადებში. ყველა შემოსული წერილი იქნა ინდივიდუალურად განხილული (მათ შორის ობიექტის მისამართზე გასვლით) და შესაბამისი პასუხები მომზადდა წერილებისა და შეტყობინებები სახეთ.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიან გადამხდელთა ბაზაში რეგისტრირებულია 719 სუბიექტი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაგეგმილი თანხის ფარგლებში ჩვენი სამსახურის მიერ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამოღებული იქნა 143 763,20 ლარი.